# ს ა ე ქ ს პ რ ტ ო  დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, ჩალიპირები ს/კ 01.72.14.094.820 დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.

ექსპერტი:  ლევან ხუხაშვილი

# საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის “ტექნუკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

**საფუძველი:** „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ“ ქვეპუნქტი.

**ობიექტის მისამართი:** ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, ჩალიპირები, ს/კ 01.72.14.094.820

**ფუნქცური დანიშნულება:** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი

**საპროექტო ორგანიზაცია:** შპს „უმბ“, არქიტექტორი გ.გურგენიძე

**წარმოდგენილი მასალა:** არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით)

**გამოსაკვლევი ნაწილები:**

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას; ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

მ) მაღლივი შენობებისადმი მოთხოვნების შეფასება;

ნ) ლიფტების შეფასებას;

ო) ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

*განმარტებითი ბარათის შესაბამისად, კორექტირებით გათვალისწინებულია, შენობის და რელიეფის გადაკვეთის დონეების ცვლილება, რაც აისახა შენობის პირველ სართულზე, სავაჭრო ფართობებში, გზა კიბეებიდან გამოსასვლელებზე და მიწისქვეშა პანდუსის მოწყობაზე.ასევე მცირე ცვლილებები არის შეტანილი სადარბაზოს და კიბის გაბარიტებში, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ არის ცვლილება დაკავებულობის და გასასვლელამდე სავალი მანძილების ნაწილში. სახანძრო-სამაშველო სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე გზა-კიბეებზე გათავლისწინებული მილდგარები მოწყობილია სადარბაზოს დერეფნებში.*

გამოკვლევა:

**ძ, დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:**

- საპროექტო ობიექტისათვის და მისი ცალკეული ნაწილებისთვის განსაზღვრული დაკავებულობები არის სწ-2 (მიწისქვეშა ავტოსადგომი), სვ (მიწისპირა სართულის სავაჭრო ფართები), სც-2 (მრავალბინიანი საცხოვრებელი) დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ ცხრილი 1004.1.2-ის მოთხოვნებს, კერძოდ: სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე.

გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა რომელიც სც-2 ჯგუფს მიეკუთვნება, შენობა ასევე კლასიფიცირდება როგორც მაღლივი შენობა, შესაბამისად შემოწმებულია 403-ე და 420-ე თავების მოთხოვნებიც.

### ე, კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

შეფასებული იქნა საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (I-B ტიპი) , რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და აკმყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს სადაც მაქსიმალური დასაშვები სიმაღლე არის 48,8 მ და ფართობი შეუზღუდავი ყველა დაკავებულობისათვის, ხოლო სწ-2-ის შემთხვევაში 7340 კვ.მ. საპროექტო შენობის სიმაღლე არის 39,80 მ, შენობის ყველაზე დიდი იატაკის ფართობი კი 1030 კვ.მ-ს არ აღემატება.

(ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემეტებისათვის კონსტრუქციის ტეპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

1. ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო - 2ს‘ათ
2. მზიდი კედლები არ არის პროექტით გათვალისწინებული.
3. გარე არამზიდი კედლებისათვის დაცულია 602 ცხრილის მოთხოვნები.
4. შიდა არამზიდ კედლებს და ტიხრებს 601 ცხრილის მიხედვით არ ესაჭიროება ცეცხლმედეგობა.
5. იატაკის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობა.
6. სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს მოეთხოვება 1 საათიანი ცეცხლმედეგობა.

ზემოთ აღიშნული მახასიათბლები დაცულია პროექტში.

### გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

**დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:**

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

- შენობის (ცხრილი 1021.2(2)) მიხედვით ესაჭიროება მინიმუმ 2 გასასვლელის მოწყობა - პროექტით გათვალისწინებულია - 2 ყველა სართულისათვის და 10 პირველი სართულისათვის აქედან 8 გათვალისწინებულია ოთხი დამოუკიდებელი სავაჭრო ფართისათვის, რომელთაგან თითოეულს ესაჭიროება 2 გასასვლელი.

- გასასვლელამდე მისადგომი და გასასვლელთან მისადგომი სავალი ნაწილი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

- გასასვლელი საშუალებების ზომა აკმაყოფილებს 1005 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გასავლელების ზომა აკმაყოფილებს 1017 და 1005 ქვეთავების მოთხოვნებს.

- თავშესაფრის ფართობი აკმაყოფილებს 1007.6 პუნქტის მოთხოვნებს.

- კარების ზომები აკმაყოფილებს 1008 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გათვალიწინებული ორივე გზა-კიბე გადის პირდაპირ შენობიდან გარეთ.

- შენობიდან გამოსასვლელები გადის შიდა ეზოზე, თუმცა დაცულია 1027.4 პუნქტის მოთხოვნები.

- გასავლელამდე მისადგომი სავალი მაძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად და შეესაბამება 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ვინაიდან შენობა მთლიანად აღჭურვილია საშხეფი სისტემით, დერეფნებს არ მოეთხოვებათ ცეცხლმედეგობის ხარისხი (ცხრლი 1018.1)

**ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:**

წარმოდგენილი 2 გზა-კიბე რომლებსაც დაკავებულობის დატვირთვის შესაბამისად (ქვეთავი - 1005.3.1; 1009.4) , მოაჯირებს შორის სუფთა გასაველი სიგანე მოეთხოვება 1,1 მ - პროექტით გათვალსწინებულია 1,2 მ, აღნიშნულის გათვალისწინებით 1007.3 ქვეთავის შესაბამისად

საპროექტო გზა-კიბე შეიძლება ჩაითვალოს მისაწვდომად. სახელური და მოაჯირი მოწყობილია 1012.6 და 1013 ქვეთავის მოთხოვნათა შესაბამისად კიბის მარშის ორივე მხარეს (1009.15)
სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ: დერეფნების მინიმალური სიგანე 1005.3.2 ქვეთავის და ცხრილი 1018.2-ის მიხედვით უნდა იყოს 1,2მ, რაც დაცულია პროექტში. სათავსებიდან გამოსასვლელი კარების ზომები და რაოდენობა, აკმაყოფილებს „წესები“-ს მოთხოვნებს.

**ვ) მისაწვდომობის შეფასება:**

შენობის ყველა ნაწილში და მის გარეთაც საკადატრო ერთეულის ფარგლებში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა, მითითებულია მისაწვდომი სვლაგეზი, მისაწვდომი ღია ავტოსადგომიდან შენობაში შესასვლელებამდე, შესასვლელებიდან მისაწვდომ ლიფტამდე და ზედა სართულებზე.
-შენობის შესასვლელ-გამოსასვლელებთან მოწყობილია 6%-იანი ქანობის პანდუსები და მთლიანობაში დაცულია 1010 ქვეთავის მოთხოვნები.

-შენობაში ყველა გასასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ საფეხურების გარეშე შესაძლებელია პირდაპირ მიწის დონეზე მოხვედრა და არცერთი კარის ზომა არ არის 82 სმ-ზე ნაკლები.
-შენობაში გათვალისწინებულია მისაწვდომი ლიფტი 1007.2.1 ქვეთავის შესაბამისდ, რომელის ზომა ასევე აკმაყოფილებს 1702.4 ქვეთავის მოთხოვნებსაც (ეტევა 0,60მ X 2,15მ გაბარიტების საკაცე).
- მისაწვდომობა უზრუნველყოფილია ავტოსადგომის ნაწილში, დაცულია 1106.1 ქვეთავის და შესაბამისი ცხრილის მიხედვით გათვალისწინებული მისაწვდომი ადგილების რაოდენობა (2 ადგილი) და დამატებით 1 ადგილი ღია ავტოპარკინგზე, მისაწვდომი
ადგილები ახლოს არის განთავსებული გასასვლელებთან.

**ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:**

შენობის გარე კედლებს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების და კონსტრუქციის ტიპის გათვალისწინებით დაცულია 602 ცხრილის მოთხოვნები. ჩრდილოეთის და სამხრეთის (ნაწილობრივ) ფასადის კედელს არ ესაჭიროება ხანძარმედეგობა, აღმოსავლეთით და დავსავლეთ,

ასევე სამხრეთის მხარეს (ნაწილობრივ) მოეთხოვება მინიმუმ 1 საათიანი ხანძარმედეგობა, რაც სწორად არის მითითებული პროექტში.

გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 705.8 ცხრილის მოთხოვნებთან. პროექტში გარე კედლებს აქვს პარაპეტი 705.11 ქვეთავის შესაბამისად.

**თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:**

საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით . გააჩნია წყალარინი ღარები და მილები. ცეცხლმედეგობის ხარისხის გათვალისწინებით ესაჭიროება პარაპეტი, რაც გათვალისიწინებულია პროექტში.

- სახურავს ქანობი შეადგენს 2%-ს, რაც აკმაყოფილებს 1507.10.1 ქვეთავის მოთხოვნებს, ვინაიდან გათვალისწინებულია მოდიფიცირებული ბიტუმის ბურულის გამოყენება.
- შენიშვნა: *1507.11.2* მასალის სტანდარტები. სახურავის მოდიფიცირებული ბიტუმის ბურულები უნდა შეესაბამებოდეს *ASTM D 6162, ASTM D 6163, ASTM D 6164, ASTM D 6222, ASTM D 6223, ASTM D 6298* ან *ASTM D 6509*-ს.
- 1509.2.1 სახურავზედა ნაგებობის სიმაღლე, გამონაკილისი 2. I ტიპის კონსტრუქციის შენობებზე მდებარე პენტჰაუსების სიმაღლე არ იზღუდება.
- 1509.2.2 ფართობის შეზღუდვა. პენტჰაუსისა და სახურავზედა სხვა შემოზღუდული ნაგებობების საერთო ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთ მესამედს. (503.1-ის ქვეთავის მიხედვით, ასეთი პენტჰაუზებისა და სხვა შემოზღუდული ნაგებობების გათვალისწინება შენობის ფართობის ან სართულების რაოდენობის განსაზღვრისას საჭირო არ არის. ასეთი პენტჰაუზების ფართობი არ გაითვალისწინება 901.7 ქვეთავის შესაბამისად მოსაწყობი ხანძრისგან დაცული ფართობის განსაზღვრისას.)
- მექანიკური მოწყობილობების საფარი აგებულია შენობის კონსტრუქციის ტიპის შესაფერისი მასალით და სიმაღლე 1509.6.1 ქვეთავთან შესაბამისობაშია.

**ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:**

- 508.4 ცხრილის მიხედვით 0.00 ნიშნულზე მოწყობილი სავაჭრო (სვ) ჯგუფი, სასაწყობო (სწ2) ჯგუფისგან, ასევე მეორე სართულზე მოწყობილი საცხოვრებელი ჯგუფისგან (სც-2) 2 საათიანი

ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით უნდა იყოს ერთმანეთისგან გამიჯნული, თუმცა 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (I-B ტიპი) გამომდინარე ვინაიდან იატაკის კოსტრუქციებს და არაძირითად ნაწილებს გააჩნია 2 საათიანი ხანძარმედეგობის ხარისხი, ზემოაღნიშნული დაკავებულობები ერთმანეთისგან 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის თარაზული ანაწყობებით არის გამიჯნული.

- საპროექტო შენობაში არსებული საცხოვრებელი ერთეულები (ბინები) ერთმანეთისგან 420.2 ქვეთავის შესაბამისად გამიჯნულია ცეცხლმედეგი ტიხრებით, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისიხი არის 1 საათი, რაც აკმაყოფილებს 708.3 ქვეთავის მოთხოვნებს.
- დერეფნები საცხოვრებელი ერთეულებისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ტიხრებით, რაც სავსებით აკმაყოფილებს 1018.1 ცხრილის მოთხოვნებს, თუმცა ამ შემთხვევებში მოთხოვნილია 1/2 საათიანი (მოწყობილი საშხეფი სისტემის გათვალისწინებით).
- კიბის უჯრედების შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისიხი 1009.3.1.2 ქვეთავის მიხედვით 2 საათიანია, რაც პროექტით გათვალისწინებულია (სადაც გათვალისწინებულია 60 წთ ცეცხლმედეგობის კარის დაყენება.
- შენობაში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს (საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით).
- ვინაიდან საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, შენობას არ ესაჭიროება ღიობების შვეული გამიჯვნა, თანახმად 705.8.5 პუნქტის მე-2 გამონაკლისისა.
- საძინებელი ერთეულების გამმიჯნავი და დერეფნის (იმ ნაწილის, რომელიც მზიდ კონსტრუქციას არ წარმოადგენს) კედლების ანაწყობები ცეცხლმედეგ ტიხრებს უნდა წარმოადგენდეს. გასათვალისწინებელია, რომ ცეცხლმედეგი ტიხრები შენობის კონსტრუქციის ტიპის შესაბამისი მასალის უნდა იყოს.
- ცეცხლმედეგი ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 1 საათს, რაც შეესაბამება 708.3 პუნქტის მოთხოვნას.
- 713.4 პუნქტის თანახმად, შახტის შემომზღუდავის ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათზე ნაკლები არ უნდა იყოს, რაც წარმოდგენილ პროექტით დაცულია.

- ლიფტის შახტის შემომზღუდავის ცეცხლმედეგობა 2 საათის ტოლია, რაც შესაბამისობაშია 713-ე ქვეთავის მოთხოვნებთან.
- სხვადასხვა ტიპის დაკავებულობები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 508.4 ცხრილის შესაბამისად.
- ლიფტის ფოიე არ არის დაუკვამლიანებელი შემოზღუდული სივრცე, ვინაიდან გათვალისწინებულია ჰაერის დაწნეხვის სისტემა..

**კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:**

საპროექტო ობიექტი თავისის მახასითებლებით მე-4 თავის განმარტებების მიხედვით წარმოადგენს მაღლივ შენობას, შესაბამისად შენობა მთლიანად არის აღჭურვილი საშხეფი სისტემით.

გათვალისწინებულია:

- სახანძრო მილდგარების სისტემა
- კვამლის კონტროლის სიტემა
- სახანძრო განგაშის სისტემა
- ხელსი ცეცხლმაქრები
- ხანძრის მართვის ცენტრი (19 კვ.მ - 911.1.3 ქვეთავის შესაბამისად)
- სახანძრო ტუმბოები და ჰიდრანტი სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამსოაყენებლად.

<u>ავტოსაშხეფი სისტემა:</u>

- საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, რაც შეესაბამება 403.3 პუნქტის მოთხოვნას.
- ლიფტების სამანქანო და ტუმბოს ოთახები, რომლებშიც დამონტაჟებულია ცეცხლის აღმომჩენი ავტომატური სისტემა, არ საჭიროებს ავტოსაშხეფის მოწყობას, თანახმად 903.3.1.1.1 პუნქტისა.
- განგაშის, საზედამხედველო და გაუმართაობის შეტყობინებების მონიტორინგი იწარმოებს პერსონალით მუდმივად დაკავებულ ადგილას, თუმცა აღნიშნული ნებადართული უნდა იყოს მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს მიერ; წინააღმდეგ შემთხვევაში

ხმოვანი სიგნალი ავტომატურად უნდა გადაეცემოდეს საზედამხედველო სადგურს, თანახმად 903.4.1 პუნქტისა.

- ***<u>შენიშვნა* ავტოსაშხეფ სისტემასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის დადგენილება #180 ( 02.04.2019) #41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. 908.2.8 ქვეპუნქტის , მე-2 გამონაკლისის შესაბამისად ბინებში სავტოსაშხეფი სისტემის დაყენება აუცილებელი არ არის 2023 წლამდე.</u>***

შენიშვნა:

- საშხეფები ყველგან NFPA 13-ის მიხედვით უნდა დამონტაჟდეს, თანახმად 903.3.1.1 პუნქტისა. თუმცა 102.3 პუნქტის შესაბამისად, დასაშვებია მითითებული სტანდარტის შესაბამისი სხვა სტანდარტის გამოყენება.

- ავტოსაშხეფი სისტემები ავტომატურად უნდა აქტიურდებოდეს, თანახმად 903.3.4 პუნქტისა.

- ავტოსაშხეფი სისტემის წყალმომარაგება უნდა შეესაბამებოდეს NFPA 13-ის ან საქართველოში აღიარებულ სხვა სტანდარტს.

- მეორად წყალმომარაგებას არ სჭირდება დამატებითი სახანძრო ტუმბო, თუ საჭირო არ არის დაგეგმარებული მინიმალური წნევის უზრუნველყოფა ავტოსაშხეფი სისტემის მომმარაგებელი სახანძრო ტუმბოს წყლის მიწოდების მხარეს . მეორადი წყალმომარაგების ხანგრძლივობა უნდა იყოს , არანაკლებ , 30 წთ, NFPA 13-ის შესაბამისად საფრთხეების მიხედვით კლასიფიცირებული დაკავებულობიდან გამომდინარე, თანახმად 903.3.5.2 პუნქტისა.

- ავტოსაშხეფ სისტემებთან მიერთების ადგილებში გამოყენებული სახანძრო სახელოს თავაკები და ფიტინგები სახანძრო სამაშველო დანაყოფის მიერ განსაზღვრულს უნდა შეესაბამებოდეს , თანახმად 903.3.6 პუნქტისა.

- ყველა სარქველი, რომელიც ავტოსაშხეფი სისტემების წყალმომარაგების , ტუმბოების , ავზების , წყლის დონეებისა და ტემპერატურების , ჰაერის მაქსიმალური წნევისა და წყლის ჭავლის გამშვებების მუშაობას აკონტროლებს ყველა საშხეფ სისტემაში, სახანძრო განგაშის მაკონტროლებელი ერთეულით ელექტრონულად უნდა გაკონტროლდეს , თანახმად 903.4 პუნქტისა.

- ავტოსაშხეფი სისტემის განგაშის , საზედამხედველო და გაუმართაობის შეტყობინებები უნდა იყოს მკვეთრად განსხვავებული.

- ავტოსაშხეფი სისტემის ამუშავებით უნდა გააქტიურდეს სახანძრო განგაშის სისტემაც, თანახმად 903.4.2 პუნქტისა.

- მიმთითებელი საკონტროლო სარქველები უნდა მოეწყოს დგართან მიერთების დგილას მაღლივი შენობების ყველა იატაკზე , თანახმად 903.4.3 პუნქტისა.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

905.3.1 პუნქტის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. ამავე პუნქტის 1-ლი გამონაკლისის თანახმად, I კლასის სახანძრო მილდგარები ნებადართულია შენობებში, სადაც დაყენებულია ავტოსაშხეფი სისტემა. შესაბამისად საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილი იქნება მილდგარებით და მათი კლასი ნებადართულია განისაზღვროს I კლასის სახით.

- I კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები განთავსდება ყველა გზაკიბის შუალედურ ბაქანზე (თუმცა აღნიშნული შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო სახანძრო-სამაშველო სამსახურთან), რაც შეესაბამება 905.4 პუნქტის მოთხოვნებს.

*აღნიშნული სახანძრო-სამაშველო სამსახურთან შეთანხმებით, განთავსებულია საპროექტო შენობის გზა-კიბეების დამაკავშირებელ დერეფნებში. მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს ნიშებში, რომ არ წარმოადგენდეს დაბრკოლებას გადაადგილებისას და არ ქმნიდეს წინაღობას

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ *NFPA 1*4-ის შესაბამისად; თუმცა 102.3 პუნქტის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტის შესაბამისი სხვა სტანდარტის გამოყენება.
- სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები, რომლებიც გამოყენებულია სახანძრო მილდგარების სისტემების მისაერთებლებთან, უნდა მიესადაგებოდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთის სახანძრო სახელოების შემაერთებელ თავაკებს.
- შენობებში, სადაც ერთზე მეტი სახანძრო მილდგარია, ისინი ერთმანეთთან მიერთებული უნდა იყოს *NFPA 14*-ის შესაბამისად .
- კარადები, სადაც განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა, კერძოდ *:* სახანძრო მილდგარები, სახანძრო სახელოები, ცეცხლსაქრობები ან სარქვლები სახანძრო -სამაშველო დანაყოფისათვის , ხელმისაწვდომი უნდა იყოს და არ უნდა დაიფაროს თვალისგან .
- მილდგარების კარადებზე დატანილი უნდა იყოს ამოსაცნობი ნიშნები, არანაკლებ , *5* სმ სიმაღლის ასოებით, რომელთა ფერი მკვეთრად განსხვავდება ფონისგან , თუმცა შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება იმ შემთხვევაში თუ პატარა ზომის კარებს, რომლებზეც წარწერიანი ნიშანი არ ეტევა, შეიძლება მიეკრას იმ მოწყობილობის აღმნიშვნელი პიქტოგრამა, რომელიც ამ კარადაში ინახება ან ნიშანი შეისაძლოა არ დასჭირდეს კარს, რომელსაც გამჭვირვალე მინის პანელი აქვს ან მთლიანად მინისაა.
- თუ კარადის კარი არ იქნება გამჭვირვალე მასალის, რომელიც ადვილად ტყდება, ასეთ შემთხვევაში კარადის კარი არ უნდა იკეტებოდეს საკეტით.
- მშენებლობისა და დაშლის პროცესში საჭირო სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა მოეწყოს *2011*-ე ქვეთავის შესაბამისად .

ხელის ცეცხლმაქრები:

- შენობაში განთავსდება ხელის ცეცხლმაქრები, თანახმად 906.1 პუნქტისა.
- ხელის ცეცხლმაქრი უნდა განთავსდეს სავაჭრო ფართობებზე და მიწისქვეშა შემოზღუდულ სავტოსადგომებში.

- ცეცხლსაქრობები განთავსდება შენობის ყოველ 23 მეტრში, თანახმად 906.3(1) ცხრილისა.

შენიშვნა/რეკომენდაციებ:

- პორტატიული ცეცხლსაქრობები უნდა განთავსდეს შესამჩნევ ადგილებში , რათა მათთან მისვლა და დაუყოვნებლივ გამოყენება ადვილი იყოს . ასეთი ადგილებია ჩვეულებრივი სავალი ბილიკების გასწვრივ , თუ სახანძრო -სამაშველო დანაყოფი არ დაადგენს , რომ არსებული საფრთხის გამო ცეცხლსაქრობები ჩვეულებრივი სავალი ბილიკებიდან მოშორებით უნდა განთავსდეს .

- პორტატიული ცეცხლსაქრობები არ უნდა განთავსდეს ძნელად დასანახ ადგილებში. თუ ოთახებში ან ფართობებზე პორტატიული ცეცხლსაქრობების დანახვას რაიმე აბრკოლებს , უნდა არსებობდეს სპეციალური მინიშნებები, რომლებიც ცეცხლსაქრობების მდებარეობაზე მიუთითებს .

- ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომლებიც არ არის მოთავსებული არადებში, უნდა ჩამოიკიდოს საკიდებზე ან განთავსდეს ბრჯენებზე. საკიდები და ბრჯენები კარგად უნდა დამაგრდეს საყრდენ ზედაპირზე მწარმოებლის მითითებების შესაბამისად .

- პორტატიული ცეცხლსაქრობების განსათავსებელი კარადები არ უნდა იკეტებოდეს .

- პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა არ აღემატება *18* კგ-ს , ისე უნდა მოეწყოს , რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს *1,5* მ -ზე მეტად. ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა აღემატება *18* კგ-ს , ისე უნდა დააყენონ , რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს *1,1* მ -ზე მეტად.

სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- იმის გათვალისწინებით, რომ შენობა მთლიანად აღიჭურვება ავტოსაშხეფი სისტემით და შეტყობინების მოწყობილობები გააქტიურდება საშხეფის წყლის ჭავლით, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა საპროექტო შენობას არ მოეთხოვება, თუმცა 907.2 პუნქტის თანახმად, საშხეფების არსებობისას სახანძრო განგაშის ერთი კოლოფი მაინც უნდა განთავსდეს შენობაში და 907.6.3.2 პუნქტის თანახმად აღნიშნული სისტემა უნდა მოეწყოს იატაკის თითოეულ ზონაში.

- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი განთავსდება გასასვლელიდან 1,5 მ-ის არეალში, რაც შეესაბამება 907.4.2.1 პუნქტის მოთხოვნას და შვეულად იატაკის დონიდან ბერკეტამდე მანძილი გაუტოლდება 1-1,4 მეტრის საზღვრებს, თანახმად 907.4.2.2 პუნქტისა. - კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა დამონტაჟდება ისეთ შიგა დერეფნებში, რომლებიც ემსახურება საძინებელ ერთეულებს, რაც შეესაბამება 907.2.8.2 პუნქტის მოთხოვნას.

- საძინებელ ფართობებზე განთავსდება კმალზე მორეაგირე მაუწყებელის ერთ და მრავალბლოკიანი მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.2.11.1 პუნქტის მოთხოვნას.

- ლიფტის მოწყობილობის ოთახებსა და ელექტრომექანიკური მოწყობილობების ოთახებში დამონტაჟებულია კვამლაღმომჩენები, თანახმად 907.2.13.1.1 პუნქტისა.

- მხედველობითი განგაშის შეტყობინებების მოწყობილობები განთავსდება საჯარო და საერთო გამოყენების ფართობებზე, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 პუნქტის მოთხოვნას.

კვამლის საკონტროლო სისტემები=

- კვამლგაუმტარი ზღუდეების ღიობები დაცული უნდა იყოს ავტომატურად დამკეტი მოწყობილობებით/ რომლებიც აქტიურდება კვამლის მექანიკური საკონსტროლო სისტემისათვის აუცილებელი სამართავი ელემენტებით/ რაც შეესაბამება <3<ВБ პუნქტის მოთხოვნას1

- არხები და საჰაერო ღიობები დაცული იქნება კვამლის ფარსაკეტებით/ თანახმად <3<ВБЬ4 პუნქტისა1

- შიგა გასასვლელის გზაფიბეები წარმოადგენს კვამლისაგან დაცულ შემოზღუდულ სივრცეებს/ თანახმად <3<Ь3 პუნქტისა1

- კიბეები შემოზღუდულია 5 საათიანი ცეცხლმედეგი კედლებით/ რაც შეესაბამება <3<Ь3Б პუნქტის მოთხოვნას1 გასათვალისწინებელია/ რომ კიბეები უნდა გაიმიჯნოს ცეცხლმედეგი ზღუდეებით ან თარაზული ანაწყობებით/ ან ორივეთი ერთად1

- კვამლგაუმტარი სივრცეების მექანიკური განიავების სისტემა მოწყობილია არხებში/ რომლის ცეცხლმედეგობა უტოლდება 5 საათს/ რაც შეესაბამება <3<Ь3Ь4 პუნქტის მოთხოვნას1 გასათვალისწინებელია/ რომ არხები უნდა გაიმიჯნოს ცეცხლმედეგი ზღუდეებით ან თარაზული ანაწყობებით/ ან ორივეთი ერთად1

ხანძრის მართვის ცენტრი:

- შენობაში განთავსდება ხანძრის მართვის ცენტრი, თუმცა მისი მდებარეობა და მისადგომი შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან, თანახმად 911.1.1 პუნქტისა.

- ხანძრის მართვის ცენტრი დანარჩენი შენობისაგან გამიჯნულის 1 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდით, რაც შეესაბამება 911.1.2 პუნქტის მოთხოვნას.

- ხანძრის მართვის ცენტრის ფართობი არ არის 19,0 კვ.მ.-ზე ნაკლები და ოთახის მინიმალური ზომა აღემატება 3,0 მეტრს, რაც შესაბამისობაშია 911.1.3 პუნქტის მოთხოვნასთან.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები.

- ჰიდრანტთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 პუნქტის მოთხოვნას.

სახანძრო ტუმბოები: სახანძრო ტუმბო განთავსებულია ოთახში, რომელიც შენობის სხვა ფართობისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი კედლით, რაც შეესაბამება 913.2.1 პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- სახანძრო ტუმბოები უნდა განთავსდეს NFPA 20-ის მიხედვით, თანახმად 913.1 პუნქტისა. თუმცა 102.3 პუნქტის შესაბამისად, დასაშვებია მითითებული სტანდარტის შესაბამისი სხვა სტანდარტის გამოყენება.

- სახანძრო ტუმბოები, სამართავი და მაკონტროლებელი დაცული უნდა იყოს მომსახურების შესაძლო შეწყვეტისგან NFPA 20-ის შესაბამისად , რაც შეიძლება გამოიწვიოს აფეთქების , ცეცხლის , წყალდიდობის , მიწისძვრის , მღრღნელების , მწერების , ქარიშხლის , ყინვის , ვანდალიზმის ან სხვა უარყოფითი ვითარებებისგან წარმოქმნილმა დაზიანებებმა, თანახმად 913.2 პუნქტისა.

- ოთახებსა და ნაგებობებში, სადაც არის ტუმბო ან ძრავა, ტემპერატურა ძრავის მწარმოებლის მიერ რეკომენდირებულზე დაბალი არასოდეს უნდა იყოს . ასევე, უნდა დაიცვან ძრავის მწარმოებლის რეკომენდაციები ზეთის გამაცხელებლების შესახებ , თანახმად 913.3.1 პუნქტისა.

**ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:**

- 1602.3 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით ღია და შემოზღუდულ ავტოსადგომებში აუცილებელი არ არის საზოგადოებრივი ტუალეტების მოწყობა.

- პირველ მიწისპირა სართულზე დაგეგმარებულ კომერციულ სივრცებსს ემსახურება ინდივიდუალური სან.კვანძები, რომელიც არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს 1602.2 და 1602.3.2 ქვეთავების მოთხოვნებს. გათვალისწინებულია სამომსახურეო ნიჟარა.

- ეზოში გათვალისიწნებულია წყლის დასალევი შადრევნის მოწყობა.

- მოწყობილობების რაოდენობა აკმაყოფილებს 1602.1 ქვეპუნქტისა და ცხრილის მინიმალურ მოთხოვნებს.

- საცხოვრებელი ერთეულები (ბინები),ბ უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობებით.

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება „წესების“ ცხრილი 1602.1-ის მოთხოვნებს.

**მ) მაღლივი შენობებისადმი მოთხოვნების შეფასება:**

- საპროექტო შენობა მთლიანად აღიჭურვება ავტოსაშხეფი სისტემით, რაც შეესაბამება 403.3 პუნქტის მოთხოვნას.

- სახანძრო ტუმბოები განთავსდება 913.2.1 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად დაცულ ოთახში, თანახმად 403.3.3 პუნქტისა.

- საპროექტო შენობაში კვამლაღმომჩენი მოეწყობა 907.2.13.1 ქვეთავის შესაბამისად, თანახმად 403.4.1 პუნქტისა.

- საპროექტო შენობაში სახანძრო განგაშის სისტემა მოეწყობა 907.2.13 ქვეთავის შესაბამისად, თანახმად 403.4.2 პუნქტისა.

- საპროექტო შენობაში საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა მოეწყობა 907.5.2.2 ქვეთავის შესაბამისად, თანახმად 403.4.4 პუნქტისა.

- საპროექტო შენობა აღიჭურვება მილდგარების სისტემით, თანახმად 403.4.3 პუნქტისა. - საპროექტო შენობაში განთავსდება ხანძრის საკონტროლო ცენტრი, რომლის განთავსების ადგილი შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან, თანახმად 403.4.5 პუნქტისა.

- საპროექტო შენობა აღიჭურვება ბუნებრივი სანიავებელი სისტემებით, საიდანაც გაიწოვება წვის პროდუქტები. ბუნებრივი სანიავებლები (ხელით გასაღები ფანჯრები) მოეწყობა იატაკის პერიმეტრის ყოველ 15 მეტრში, რაც შეესაბამება 403.4.6 პუნქტის მოთხოვნას, ხოლო ის ფართობები, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივი სანიავებელი სისტემით აღჭურვას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მექანიკური სანიავებელი სისტემით. - ელ. ენერგია და განათება ხანძრის საკონტროლო ცენტრისთვის, განიავებისა და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილობები დაუკვამლიანებელი შემოზღუდული სივრცეებისთვის, ასევე ლიფტები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათადარიგო ენერგომომარაგების სისტემით, თანახმად 403.4.7 პუნქტისა.

- სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემა იწარმოებს გენერატორის საშუალებით, რომელიც გათვალისწინებულია ტერიტორიაზე, რაც შეესაბამება 403.4.7.1 პუნქტის მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ სისტემის ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს ხელით ასამუშავებელი და გადამცემი საშუალებებით, რომლებიც ხანძრის საკონსტროლო ცენტრში უნდა განთავსდეს.

- გასასვლელის ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება, ლიფტის კაბინის განათება, საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები, ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები, სახანძრო განგაშის სისტემები, ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები

უზრუნველყოფილი იქნება სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემით, თანახმად 403.4.8 პუნქტისა.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 9,0 მეტრზე მეტი ნმანძილით, რაც შეესაბამება 403.5.1 პუნქტის მოთხოვნას.

- სახანძრო მანქანის მისადგომის ყველაზე დაბალი დონიდან 23 მ-ის ზევით მდებარე სართულების მომსახურე თითოეული აუცილებელი გასასვლელის გზა-კიბე 909.20 და 1022.10 ქვეთავებს შეესაბამება, თანახმად 403.5.4 პუნქტისა.

შენიშვნა:

*909.20.4.1* ვესტიბიულის კარები. შენობიდან ვესტიბიულში გასასვლელი კარის ანაწყობი უნდა იყოს ცეცხლმედეგი და შეესაბამებოდეს *716.5.3* ქვეთავს. ვესტიბიულიდან გზა-კიბეზე გასასვლელი კარის ცეცხლისაგან დაცვის ხარისხი არ უნდა იყოს *20* წთ-ზე ნაკლები და უნდა აკმაყოფილებდეს კვამლგაუმტარი კარის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, *716.5.3* ქვეთავის შესაბამისად. კარი უნდა დააყენონ *NFPA 105*-ის შესაბამისად.

- გასასვლელის ბილიკის განათებული აღნიშვნები 1024-ე ქვეთავის მოთხოვნებს შეესაბამება, თანახმად 403.5.5 პუნქტისა.

**ნ) ლიფტების შეფასებას:**

- ლიფტის შახტების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობა, 713.4 პუნქტის თანახმად მინიმუმ 2 საათის უნდა იყოს რაც დაცულია პროექტით.

- 2 ლიფტის კაბინაში შესაძლებელია 2,15მ. X 0.6 მ. საკაცის შეტანა, რაც შეესაბამება 1702.4 პუნქტის მოთხოვნას.

- ლიფტების შახტები უზრუნველყოფილია საჰაეროებით, რომელთაგან კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება, რაც შეესაბამება 1704.1 პუნქტის მოთხოვნას.

- საჰაეროების ფართობი თითოეული კაბინისთვის უტოლდება 0,3 კვ.მ.-ს, რაც შეესაბამება 1704.3 პუნქტის მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ საჰაეროს საერთო ფართობის, არანაკლებ, ერთი მესამედი ყოველთვის ღია უნდა იყოს. საჰაეროს ფართობის დახურულ ნაწილებში უნდა იყოს ღიობები, შემინული, არაუმეტეს, 3,2 მმ სისქის ნაწრთობი მინით.

შენიშვნა:

- ლიფტის შახტის შემომზღუდავში წყალსადენი და მექანიკური სისტემები არ უნდა მოთავსდეს .

- ლიფტის სამანქანო ოთხებში , რომლებიც ლიფტის დაწნევად შახტს ემსახურება , წნევა ლიფტის სამანქანო ოთახში არსებულ სითბოს ან კვამლის დეტექტორის გააქტიურებისთანავე უნდა შეიქმნას .

- ლიფტის სამანქანო ოთხები და მანქანა -დანადგარებისთვის განკუთვნილი სივრცები ცეცხლმედეგი ზღუდეებით ან თარაზული ანაწყობებით უნდა აიგოს.

- წყალგაყვანილობის სისტემები ლიფტის სამანქანო ოთახებში არ უნდა დააყენონ .

- ავტოსაშხეფები არ უნდა დააყენონ ლიფტის სამანქანო ოთახებში , ლიფტის მანქანა -დანადგარებისთვის განკუთვნილ სივრცეებში.

- ლიფტის ფოიეს ყველა კარი კვამლისა და წევის მაკონტროლებელი UL 1784-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს ძირში ხელოვნური საგმანავის განთავსების გარეშე.

**ო) ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასებას:**

- წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ღია და შემოზღუდული ავტოსადგომების მოწყობას შესაბამსიად ღია ავტოსადგომები კომპლექსის ეზოს ტერიტორიაზე, ხოლო შემოზრუდული მიწის ქვედა ნიშნულზე -3,00-ზე. მიწისზედა ღია ავტოსადგომისათვის შემოწმდა ავტოსადგომი ადგილების, გასავლელბის გაბარიტული ზომები, რაც შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან. -3,10 ნიშნულზე დაგეგმარებულ ავტოსადგომში შესვლა ხორციელდება ტერიტორიის სამხრეთის მხრიდან პანდუსის საშუალებით. პანდუსის დახრის პროცენტულობა თავსა და ბოლოში 3.00 მეტრის ფარგლებში არის 10%, სადაც გარდამავალი ბაქნების მოწყობის აუცილებლობაა. ყოველივე ზემოაღნიშნულიუ აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს. ავტოსადგომში მოძრაობა ხდება ცალმხრივად, ცალმხრივი შესასვლელ/გასასვლელის სიგანე 409.9.7.1 ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს მინიმუმ 3.6 მეტრი, რაც პროექტით გათვალისწინებულია.

- ავტოსადგომზე შშმპ ადგილებისრაოდენობა და ზომები აკმაყოფილებს 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს. ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნას გასავლელის მიმართ ავტომობილის დგომის კუთხის გათვალისწინებით.

**დასკვნა**

ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, ჩალიპირები ს/კ 01.72.14.094.820 დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული პროექტი შესაბამისობაშია “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016

წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გართხილება:

1. მუშა დოკუმენტაციის და საინჟინრო კომუნიკაციების დამუშავებისას გათვალისწინებული იქნას წესების მოთხოვნები.
2. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან, აგრეთვე სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.
3. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;
- ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება;
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;
- საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები;
- სახანძრო განგაშის სისტემები;
- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები).

ექსპერტი: ლ.ხუხაშვილი

გამოყენებული მასალები:

შპს „უმბ“-ის მიერ, ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, ჩალიპირები ს/კ 01.72.14.094.820, შესრულებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის შენობების არქიტექტურული პროექტი.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

41 „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება

მოკლე ბიოგრაფია - **ლევან ხუხაშვილი**

**მისამართი:** საქართველო ქ.თბილისი,
შევჩენკოს ქ.№5, ბინა 4/5
არქიტექტორი **ტელეფონი:** (+995 99) 591 270 222

**ელ.-ფოსტა:** levan.khukhashvili@gmail.com

**განათლება** -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2000-2005 წწ. – არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატი.

-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2008-2010 წწ. – არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრატურა – ენჯინერინგის მაგისტრი ქალაქგეგმარების განხრით.

**სპეციალობა** არქიტექტორი

**მუშაობის სტაჟი** 11 წელი

***<u>სამუშაო გამოცდილება</u>***

2005 წ. - შ.პ.ს.”ტერიტორიათა განვითარების სააგენტო თბილქალაქპროექტი”

2006-2008 წწ. - არქიტექტურული საპროექტო ”L-სტუდიო” - მთავარი არქიტექტორი.

2009-2010 წწ. - არქიტექტურული საპროექტო “არქ ქრიატიონ”- მთავარი არქიტექტორი.

2011 წ. - დღემდე -შ.პ.ს. “თბილქალაქპროექტი” - არქიტექტორი.

შესრულებული სამუშაოები:

- ცენტრალური სუპერმარკეტის (“დეზერტირების ბაზარი”) პროექტი;
- ურეკის ბულვარის პროექტი;
- სასტუმრო კომპლექსის პროექტი შაორის ტბაზე;
- ოზურგეთის ცენტრში ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;
- სასტუმროს შენობის რეკონსტრუქციის პროექტი სამრეკლოს ქუჩაზე.
- მრავალფუნქციური შენობის პროექტი, ქ.თბილისში, მადაზია “პაპილონის” მიმდებარედ.
- საცხოვრებელი კომპლექსი მელიქიშვილის გამზირზე. №15,17 და 19-ში.

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ვაზისუბნის ქ.№36-38-ში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი უნუვერსიტეტის ქუჩაზე.
- არსებული შენობის რეკონსტრუქციის პრექტი ქ.თბილისში ერეკლე II-ს ქუჩაზე.
- არსებული შენობის რეკონსტრუქციის პრექტი ქ.თბილისში კახიძის ქუჩაზე.
- საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის პროექტი ქ.თბილიში, ლუბლიანას ქუჩა № 019/147
- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა ნაკვ.№008/400
- რესტორნის შენობის პროექტი ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი №25;
- რესტორნის შენობის პროექტი ქ.თბილისი, გ.გულუას ქ №2ა;
- განაშენიანების რეგულირების გეგმა ქ.თბილისი გარეკახეთის ქუჩის მიმდებარედ.
- განაშენიანების რეგულირების გეგმა ქ.თბილისი საქჰოს გასასვლელის და ჩოლოყაშვილის ქუჩების მიმდებარედ.
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება ქ.თბილისი შატბერაშვილის, კეკელიძის რჩეულიშვილის ქუჩების მიმდებარედ.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.თბილისში ნუცუბიძის ქ.№77-ში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.თბილისში დეპოს ქ.№23-ში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.თბილისში გარე კახეთის ქ.№3-ში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.თბილისში ფიზკულტურის ქ.№44-ში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.თბილისში ჩხეიძის ქ.№6-ში.

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.თბილისში მირცხულავას და წყალტუბოს ქუჩების კუთხეში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ.თბილისში ნადიკვარის III ქუჩაზე.
- სასტუმროს პროექტი ბარნოვის ქ.№22-ში.
- სასტუმროს პროექტი მეტეხის ქ.№20-ში.
- სასტუმროს პროექტი ბელიაშვილის ქ.№101ა-ში.
- სასტუმროს პროექტი ევდოშვილის ქ.№6-ში.

ენები
- ქართული (მშობლიური)
- რუსული (სრულყოფილად)
- ინგლისური (კარგად)

კომპიუტერული და ტექნიკური უნარჩვევები:
- **ArchiCAD**
- **AutoCAD**
- **Artlantis Studio**
- **Word, Exsel.**

სპეციალისტი ლევან ხუხაშვილი

დირექტორი ირაკლი კვარაცხელია

# GEORGIA

## TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

## MASTER'S

# DIPLOMA

M № 001773

By decision N 33 February 8, 2011 .

of the faculty of

Architecture, Urban Planning and Design

Mr. Levan Khukhashvili

was awarded the Degree of Master of

Engineering in

Architecture

რეგისტრაციის
Registration № 01306

თბილისი
Tbilisi

10 რიცხვი/day 5 თვე/month 2011 წელი/year

# საქართველო

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## მაგისტრის

# დიპლომი

M № 001773

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2011 წლის 8. 2 № 33

გადაწყვეტილებით ლევან ხუხაშვილს

მიენიჭა ინჟინერინგის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი არქიტექტურის

სპეციალობით.

დეკანი / გოჩა მიქიაშვილი /
Dean / Gocha Miqiashvili /

Seal

რექტორი / არჩილ ფრანგიშვილი /
Rector / Archil Prangishvili /

# ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 - 008

გადაეცემა

## ლევან ხუხაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

# შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

## მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

| # | ფურცლის # | ფაილის დასახელება | მასშტაბი |
|---|---|---|---|
| A-000 | | | |
| 1 | A-001 | ფურცლების ჩამონათვალი | |
| 2 | A-002 | პირობითი აღნიშვნები | |
| 3 | A-003 | დაგეგმარების მიზნის აღწერა | |
| 4 | A-004 | შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი | |
| 5 | A-005 | სიტუაციური სქემა | 1:1000 |
| 6 | A-006 | მიწის ნაკვეთის გეგმა | 1:200 |
| A-100 | | არქიტექტურული გეგმები | |
| 7 | A-101 | მიწისქვეშა ავტოსადგომის გეგმა -3,10 ნიშნულზე | 1:200 |
| 8 | A-102 | I სართულის გეგმა ±0,00 ნიშნულზე | 1:200 |
| 9 | A-103 | სართულის გეგმა +4,50 ნიშნულზე | 1:200 |
| 10 | A-104 | სართულის გეგმა +7,80 ნიშნულზე | 1:200 |
| 11 | A-105 | სართულის გეგმა +11,10 ნიშნულზე | 1:200 |
| 12 | A-106 | სართულის გეგმა +14,40 ნიშნულზე | 1:200 |
| 13 | A-107 | სართულის გეგმა +17,70 ნიშნულზე | 1:200 |
| 14 | A-108 | სართულის გეგმა +21,00 ნიშნულზე | 1:200 |
| 15 | A-109 | სართულის გეგმა +24,30 ნიშნულზე | 1:200 |
| 16 | A-110 | სართულის გეგმა +27,60 ნიშნულზე | 1:200 |
| 17 | A-111 | სართულის გეგმა +30,90 ნიშნულზე | 1:200 |
| 18 | A-112 | სართულის გეგმა +34,20 ნიშნულზე | 1:200 |
| 19 | A-113 | სამანქანოს გეგმა +37,50 ნიშნულზე | 1:200 |
| 20 | A-114 | სახურავის გეგმა +40,20 ნიშნულზე | 1:200 |
| A-200 | | ჭრილები | |
| 21 | A-201 | ჭრილი 1-1 | 1:200 |
| 22 | A-202 | ჭრილი 2-2 | 1:200 |

| # | ფურცლის # | ფაილის დასახელება | მასშტაბი |
|---|---|---|---|
| A-300 | | ფასადები | |
| 23 | A-301 | ფასადი ღერძებში "1-9" | 1:200 |
| 24 | A-302 | ფასადი ღერძებში "A-F" | 1:200 |
| 25 | A-303 | ფასადი ღერძებში "9-1" | 1:200 |
| 26 | A-304 | ფასადი ღერძებში "F-A" | 1:200 |
| A-400 | | ფრაგმენტები | |
| 27 | A-401 | გზა-კიბე #1; გზა-კიბე #2; | 1:50 |
| 28 | A-402 | ჭრილი 1-1 | 1:50 |
| 29 | A-403 | დეტალი #1; დეტალი #2; | 1:50 |
| 30 | A-404 | დეტალი #3; დეტალი #4; | 1:50 |
| A-500 | | დამატებითი მასალა | |
| 31 | A-501 | დაკავებულობის და სახანძრო უსაფრთხოების გეგმა ნიშ.-3,10 | 1:200 |
| 32 | A-502 | დაკავებულობის და სახანძრო უსაფრთხოების გეგმა ნიშ.±0,00 | 1:200 |
| 33 | A-503 | დაკავებულობის და სახანძრო უსაფრთხოების გეგმა ნიშ.+4,50; 7,80 და 11,10; | 1:200 |
| 34 | A-504 | დაკავებულობის და სახანძრო უსაფრთხოების გეგმა ნიშ.+14,40 და 17,70; | 1:200 |
| 35 | A-505 | დაკავებულობის და სახანძრო უსაფრთხოების გეგმა ნიშ.+21,00; 24,30 და 27,60; | 1:200 |
| 36 | A-506 | დაკავებულობის და სახანძრო უსაფრთხოების გეგმა ნიშ.+30,90; | 1:200 |
| 37 | A-507 | დაკავებულობის და სახანძრო უსაფრთხოების გეგმა ნიშ.+34,20; | 1:200 |
| A-600 | | ვიზუალიზაცია | |
| 38 | A-601 | სამგანზომილებიანი გამოსახულება | |
| 39 | A-602 | სამგანზომილებიანი გამოსახულება | |
| 40 | A-603 | სამგანზომილებიანი გამოსახულება | |
| 41 | A-604 | სამგანზომილებიანი გამოსახულება | |
| 42 | A-605 | სამგანზომილებიანი გამოსახულება | |
| 43 | A-606 | სამგანზომილებიანი გამოსახულება | |

ფორმატი A-3 | დაკვეთა №

შენიშვნები:

1. ნახაზზე ზომები მოცემულია მეტრებში.
2. ნახაზის ყველა ცვლილება მშენებლობისას შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

პირობითი ნიშნები:

პროექტის სახელწოდება

ქ. თბილისში, სოფელი დიღომი ,,ჩალიპირები"/ (ნაკვ. ს/კ 01.72.14.094.820) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი (არქიტექტურული ნაწილი)

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| დირექტორი | ზ.უმანკოშვილი | |
| მთ. არქიტ. | გ.გურგენიძე | |
| არქიტექტორი | თ.გურგენიძე | |
| შეასრულა | | |
| შეამოწმა | | |

ნახაზის დასახელება:

ნახაზების ჩამონათვალი

| სტადია: | ფურცელი: | რაოდენობა: | მასშტაბი: |
|---|---|---|---|
| მუშა პროექტი | A-001 | 43 | |

## გამოყენებული პირობითი აღნიშვნები




მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ნიშნული გეგმაზე,ჭრილზე,ფასადზე

ჭრილის ხაზი

ჩრდილოეთის აღმნიშვნელი ნიშანი



ბლოკის კედელი



ბეტონის კედელი



იზოლაცია




დაკავებულობის ჯგუფი (ქვეჯგუფი)
დაკავებულობის დატვირთვა




კარის აღნიშვნა



ხელის ცეცხლმაქრი



ავტოსაშხეფი



ღიობი ფილაში



სტრუქტურული ანაწყობის (კედლის)
ხანძარმედეგობის ხარისხი 1 საათი



სტრუქტურული ანაწყობის (კედლის)
ხანძარმედეგობის ხარისხი 2 საათი



სასაწყობო დაკავებულობა **სწ**



სავაჭრო დაკავებულობა **სვ**



საცხოვრებელი დაკავებულობა **სც2**



გასასვლელამდე სავალი მანძილი



მისაწვდომი სვლაგეზი



უსაფრთხო ზონა



გასავლელი

| დამგეგმარებელი | პროექტი დასახელება | დამკვეთი | ეტაპი | ფორმატი | ფურცლის № |
|---|---|---|---|---|---|
| DESIGNER IDENTIFICATION BLOCK | PROJECT NAME | CLIENT | STAGE | PAPER SIZE | SHEET # |
| | | | | A-4 | A-002 |

**დაგეგმარების საფუძველი და მიზნის აღწერა:**

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს, ქ.თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური მიერ გაცემული, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. პროექტის მიზანია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

**მიწის ნაკვეთის მდებარეობის აღწერა:**

საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი დაპროექტებულია ქ.თბილისში, სოფელი დიღომი, "ჩალისპირები" ს/კ 01.72.14.094.820.

ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე (საავტომობილო გზა), აღმოსავლეთით საზოგადოებრივი სივრცე (საავტომობილო გზა), სამხრეთით შიდა ეზო (სამეზობლო საზღვარით) და დასავლეთით სამეზობლო ნაკვეთი. არსებული რელიეფი თითქმის სწორია, ნიშნულებს შორის სხვაობა +440.20-დან +441.20-მდე მერყეობს. აბსოლუტური ნიშნული +0.00 შეესაბამება +440.00-ს.

**პროექტის კონცეფცია, იდეა:**

პროექტის კონცეფცია სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტისას განპირობებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის თავისებურებიდან გამომდინარე.

**პროექტის შინაარსობრივი აღწერა:**

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია 11 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაპროექტება მიწისქვეშა ავტოსადგომით და სავაჭრო ფართებით შენობის მიწისპირა სართულზე. მიწისქვეშა ავტოსადგომში და საცხოვრებელ ნაწილში კავშირი გათვალისწინებულია შიდა ეზოს მხრიდან, ხოლო სავაჭრო ფართებში ქუჩიდან და შიდა ეზოს მხრიდან დამატებითი გასასვლელებია მოწყობილი

**პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:**

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასს, მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის ფილებით და პემზო ბლოკის შევსებით. შენობის საძირკველი მონოლითური რკინაბეტონის ფილაა, სახურავი არის პარაპეტში მოქცეული მცირე ქანობიანი მრავალშრიანი გადახურვა. შენობის კონსტრუქციის ტიპი, მისი სიმაღლისა და ფართობებიდან გამომდინარე, სახანძრო უსაფრთხოების წესების შესაბამისად **I-B** ტიპისაა.

**შენობის დაგეგმარებისას გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:**

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009წ. 24 მარტის #57 დადგენილება;

| დამგეგმარებელი<br>DESIGNER IDENTIFICATION BLOCK | პროექტი დასახელება<br>PROJECT NAME | დამკვეთი<br>CLIENT | ეტაპი<br>STAGE | ფორმატი<br>PAPER SIZE | ფურცლის №<br>SHEET # |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | A-4 | A-003 |

# შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

| გამოყენებული წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები |
|---|

| | |
|---|---|
| პროექტის დასახელება | მრავალბინიანი საცხოვრებელის ახლი |
| პროექტის მისამართი | ქ. თბილისში, სოფელი დიღომი ,,ჩალიჭირეები"/ (ნაკვ. ს/კ 01.72.14.094.820 |
| არქიტექტორი | გ.გურგენიძე |
| სტრუქტურული ინჟინერი | |
| წყალგაყვანილობის, ელექტროობის, ბუნებრივი აირის სისტემის ან/და მექანიკური სისტემების ინჟინერი | |

| ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულობა და აღწერეთ თითოეული გამოყენება | |
|---|---|
| 1. სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** (მიწისქვეშა ავტოსადგომი) | *1 სართული მიწის დონის ქვევით* |
| 2. სავაჭრო ჯგუფი **სვ** (მაღაზია) | *1 სართული მიწის დონის ზევით* |
